

რაოდენობრივი ტიპები თარგების ზუსტი საზღვრით შეთანადებისთვის

სანდრა ალვესი

პორტოს უნივერსიტეტი

მოხსენებაში განხილული იქნება ახალი მიდგომები რაოდენობრივი ტიპების სისტემების მიმართ პროგრამირების ისეთი ენებისთვის, რომლებშიც თარგების შეთანადების საშუალებებია. რაოდენობრივი (არაიდემპოტენტური თანაკვეთის) ტიპები გამოყენებული იყო შეწყვილებული თარგების აღრიცხვის ამოხსნადობის დასახასიათებლად, სადაც გამოსახულებებში მარცხენა რედექსის (ე.წ. თავის) ნორმალიზაციის ტექნიკა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ტიპიზებადობის საშუალებით იყო დახასიათებული. ვაჩვენებთ, რომ ამ შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია და ვიძლევიან თავის ნორმალიზაციის ზუსტ საზომს რესურსების გამთვალისწინებელი რაოდენობრივი ტიპების სისტემის (სისტემა E) საშუალებით. სპეციფიკური ტექნიკების კომბინაციის მეშვეობით, სისტემა E-ს შეუძლია წარმოქმნას თავის ნორმალიზაციის მიმდევრობის სიგრძის ზღვრების ზუსტი შეფასებები და ამასთან, განასხვავოს დაყვანის სხვადასხვა ტიპის ბიჯები.